საქართ. შემარც. ხოლ.-ფედ. ცარეგ. პარტიის

# ტრიბუნა

მთავარ კომიტეტის ორგანო

გაზეთი „ტრიბუნა“ ღირს
თვიურად 200,000 მან.
ცალკე ნომერი ყველგან 10,000 მან.
რედაქცია და კანტორა: ტფილისი, სასახლის ქუჩა, № 6
ტელეფონი 10—84 — ფოსტის ყუთი, № 190.

განცხადების ფასი:
1 გვ. 60,000 მან. წინსიტყვა
4 „ 50,000 „
სამგლოვიარო განცხადება
1 გვ. 800,000 მან.
4 „ 500,000 „

№ 435 კვირა, აპრილის 1 1923 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 10,000

## გზა ელექტროფიკაციას

საბჭოთა ფედერაციას მაშტაბით ამ ჟამად დიდი ეკონომიური აღმშენებლობით მუშაობა სწარმოებს. რევოლიუციის პერიოდი აღმშენებლობის საფეხურზე იმყოფება. სამხედრო კომუნიზმი არ იძლეოდა სამეურნეო ფრონტის გამაგრების საშუალებას. დღეს კი მდგომარეობა არსებითად შეცვლილია. ფაბრიკა-ქარხნები ახმაურებულია, მრეწველობის განვითარება გაუმჯობესების საქმე ნორმალურ კალაპოტშია ჩაყენებული.

სამეურნეო ფრონტის გამაგრება გაძლიერება ყველაზე მეტად სერიოზული მომენტია რევოლიუციის განვითარება და საბოლოო გამარჯვების საქმეში. ეკონომიური ორგანიზმის გაჯანსაღება აუცილებელი პირობაა გამმანთავისუფლებელ ბრძოლის წარმატებით მსვლელობისათვის.

რევოლიუციონური მშრომელთა კლასის განკარგულებაში საკმაო ეკონომიური რესურსებია.

დღეს ჩვენ სახელმწიფოებრივ კაპიტალიზმის ხანაში გვიხდება ქვეყნის სოციალ-ეკონომიურ სტრუქტურის საიმედო ჩარჩოებში ჩამოსხმა, გარკვეულ ფორმაში ჩამოყალიბება.

საერთოდ, საბჭოთა რესპუბლიკების სამეურნეო ამოცანები დამკვრელ ამოცანებადაა აღიარებული. კერძოთ ჩვენში, საქართველოში, ეკონომიურ აღმშენებლობის საქმეს მთავარი ადგილი უჭირავს უმაღლეს ორგანოების პრაქტიკულ პოლიტიკაში. სწარმოებს გრანდიოზული დადებითი მუშაობა სამეურნეო, განსაკუთრებით სასოფლო მეურნეობის სფეროში. მელიორაცია და მრ. სხ. მეურნეობის საინტენსიფიკაციო საშუალებანი უკვე მიმართულია სასოფლო მეურნეობის აყვავება—განვითარებისაკენ.

მაგრამ არის ერთი დიდი, ეკონომიური მნიშვნელობის მქონე რამე—ელექტროფიკაციის საკითხი. რუსეთში ამ საკითხს დიდი ხანია მიაქციეს ყურადღება. ამ მიმართულებით იქ დღესაც დიდი მუშაობაა გაჩაღებული. ჩვენში კი ამ დიად საქმის დასაწყისს ახლა ეყრება საძირკველი. ამ შემთხვევაში აღსანიშნავია ავჭალის ჰიდრო-ელექტრონული სადგურის აშენების საქმე და ის ცნობები, რომლებიც მოგვდის სენაკის მაზრიდან.

მდ. აბაშის წყალვარდნილზე ჰიდრო-ელექტრონული სადგურის აშენება მორიგ საკითხად დაუსვამს სენაკის სამაზრო აღმასკომს. მას კიდევაც სათანადო ნაბიჯები გადაუდგამს ამ მიზნისაკენ. ეგ მეტად სიმპატიური მოვლენაა.

ჩვენი ქვეყანა მდიდარია მდინარეებით, ვაკეებით, სასოფლო მეურნეობის წარმოებისთვის ხელსაყრელ პირობებით. ბუნებრივი სიმდიდრის მოხმარაა მხოლოდ საჭირო რა გზით შეიძლება ეს? უპირველესად ყოვლის—ელექტროფიკაციის საშუალებით. ჩვენი გლეხ-კაცობა მამაპაპეული, ადამისებური გუთნითა და კავით ამუშავებს სინოყივრით დაჯილდოვებულ დედა-მიწას. მისთვის საწარმო იარაღების სხვა სახე უცნობია. იხარჯება შრომის მაქსიმუმი, ვღებულობთ კი—ნაყოფის მინიმუმს. კულტურულ ქვეყნებში ასეთ შემთხვევას სავსებით არ აქვს ადგილი. ამერიკაში მაგ. ყოველი სასოფლო მუშაობა გაუმჯობესებული სამიწათ-მოქმედო იარაღებით სწარმოებს. შრომის რეზულტატებსაც დიდს ღებულობენ იქაური მიწის მუშები. ჩვენი უკულტურობაა, გაუნათლებლობა, უკოდინარობა, თუ ცივილიზაციის საუკუნეში სწორედ ისე გვიხდება ლუკმა-პურისათვის ბრძოლა, როგორც უხდებოდა ჩვენს შორეულ წინაპრებს.

ფართო გზა უნდა მიეცეს ელექტროფიკაციას. ელექტრონის სინათლის შუქმა უნდა შეანათოს ყოველი მუშის და გლეხის ქოხებში. ელექტრონის ენერგიით უნდა ამუშავდეს მანქანები, წისქვილები და სხ. სენაკის სამაზრო აღმასკომის გეგმები ამ მხრით დიდს იმედებს და ოპტიმისტურ აზრებს იძლევა.

საბჭოთა წეს-წყობილებას მრავალი მტერი ახვევია ირგვლივ. მოწინააღმდეგეების არა მარტო ფიზიკურად განადგურება, არამედ მათი იდეურადაც მოსპობა—განიავება პრაქტიკულ ნიადაგზე შეიძლება. ეგ ნიადაგია—ეკონომიური აღმშენებლობა. მშრომელ მასსას უნდა დავანახოთ, რომ საბჭოთა სისტემა არ ანადგურებს, პირიქით, იგი ხელს უწყობს და უმზადებს ნიადაგს, მშრომელი ხალხის ეკონომიურად აღორძინებას, სრულ თავისუფლებას.

ერთი ელექტრო სადგურის ახმაურება ათას კრებებსა და მიტინგებს სჯობია. იგი ათასჯერ მეტ გავლენას მოახდენს მშრომელ მასსაზე, ვინემ პოეტურად აფერადებული ლამაზი სიტყვები და დაპირებები.

1654

## პრესა

„კომუნისტის“ და „Заря Востока“-ს 30 მარტის ნომრები იწყება ამხ. მ. ამიას მოზრდილი მეთაურებით, რომელიც ეხება ეროვნულ საკითხის და მისდამი ჩვენსა და ბოლშევიკების დამოკიდებულებას.

ავტორი სამართლიანად აღნიშნავს, რომ ამიერ კავკასიის ერებს შორის ომისა და სისხლის ღვრის მოსპობა არ ნიშნავს ეროვნულ საკითხის საბოლოოდ გადაჭრას და მოწესრიგებას; რომ დიდი დრო და მუშაობაა საჭირო, რათა ინტერნაციონალიზმი გახდეს ხალხთა შორის ნორმალურ ურთიერთობად. ამიტომ ჩვენ პარტიის ყველა ყრილობებზედ ვეხებით ნაციონალურ საკითხსო ამბობს ავტორი და შემდეგ აცხადებს:

„ჩვენ არ ვცვლით ჩვენი ნაციონალური პოლიტიკის ძირითად პლატფორმას, არ ვივიწყებთ რევოლიუციონურ შეურიგებლობას პროგრამულ საკითხებში, მაგრამ დროგამოშვებით ვსინჯავთ ჩვენს პროგრამას რ. კ. პ. „ჩვეულების“ მიხედვით, ბარომეტრის სისწორით აღნიშნოს მომქმედ ძალებში მომხდარი ცვლილებები და მიზნათ ვისახავთ მხოლოდ განსახორციელებელ ამოცანებს“.

ჩვენ ძალიან მოგვწონს ეს „ჩვეულება“ და ასი შეთანხმება „პროგრამულ საკითხებში რევოლიუციონურ შეურიგებლობასთან“.

შეიქმნა ამიერ-კავკასიის და საბჭოთა რესპუბლიკების საერთო ფედერაცია, რომელთა მიზანია მშრომელთა დიქტატურის შენარჩუნება და გამაგრება.

„მაგრამ კავშირში შესულ ერებს და ხალხებს, უფრო სწორედ რომ ვსთქვათ, მათ მშრომელ მასებს, გარდა კლასობრივ ინტერესებისა, აქვთ დამატებით, ნაციონალური ხასიათის მოთხოვნილებანი.

მაგრამ შეუძლია კი საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის ერების ამ სპეციალურ ინტერესების საკმაოდ დაკმაყოფილება კავშირის პოლიტიკური ძალა-უფლების ორგანოებს—საკავშირო ცენტრ-აღმასკომს და სახკომსაბჭოს?

გათვალისწინებულია თუ არა კავშირის მშენებლობის დროს სავსებით და მთლიანად ნაციონალური მომენტი?

აი კითხვები, რომელიც წამოაყენა ჩვენმა პარტიამ“.

ყველა ამ საკითხების წამოყენება და განხილვა აუცილებელი იყო წინასწარ, ფედერაციის და მისი კონსტიტუციის დაკანონებამდე. ჩვენ სწორედ ასე მოვიქეცით. კომპარტია კი ამ საკითხებს ეხლა აყენებს, ამაშია განსხვავება.

ჩვენ სიამოვნებით აღვნიშნეთ, რომ საქ. კომპარტიის ყრილობამ საჭიროდ სცნო მეორე პალატისებური ორგანოს შექმნა ეროვნულ თანასწორობის უზრუნველსაყოფად, რასაც ჩვენ თავის დროზე ვიცავდით. ამას ჩვენ ვაფასებთ, როგორც რევიზიას და როგორც ფედერალიზმის იდეის გამარჯვებას.

„ჩვენ წინდაწინ შეგვიძლია აღუთქვათ მათ კიდევ ბევრი ასეთი მორალური გამარჯვებაო, ამბობს ამხ. მ. ამია და უმატებს: მშრომელთა უძლიერესი ციხე-სიმაგრის აშენების დროს ბევრჯელ დაგვჭირდება კოშკების ხელახლა აშენებაო“.

სრულიად დარწმუნებული ვართ ამაში და მით უფრო მეტი ხალისით ვიმუშავებთ ბოლშევიკებთან მშრომელთა ციხე-სიმაგრის ასაშენებლად და უსარგებლო კოშკების დასანგრევად.

შემდეგ ავტორი ცდილობს დაამტკიცოს, რომ ჩვენ ვცდებით, ან გვინდა მოვაჩვენოთ, თითქოს ვცდებოდეთ (?). თორემ არც რევიზიას ჰქონია ადგილი და არც ვისმე გამარჯვებას, თუ გინდ ბრჭყალებში.

ამიერ-კავკასიის ფედერაცია დარჩა და თუმცა აღიარებულია ცენტრში მეორე პალატის შექმნა ერთა თანასწორობის საფუძველზედ, მაგრამ ცენტრ-აღმასკომში ხომ არ არის დაშვებული ერთა წარმომადგენლობაო?

ამიერ-კავკასიის ს. რ. ფედერაციის შესახებ ჩვენ ვამტკიცებდით, რომ მისი მთავარი ფუნქციები გადავა საბჭოთა რესპუბლიკების საერთო ფედერაციის ცენტრის კომპეტენციაში, როცა ის შეიქმნებათქო. საქარ. კომპარტიის ყრილობამ საჭიროდ სცნო და დაადასტურა ამ. კავკ. ფედერაციის არსებობა, მაგრამ დაადგინა:

„ამ. კავ. ს. ს. რ. ორგანოების კონკრეტიული ფორმები და განაწილება სახალხო კომისარიატებისა ამ. კავკ. ფ. ს. ს. რ. და ს. ს. რ. კ. დამოუკიდებელ რესპუბლიკებს შორის უნდა გაირჩეს რ. კ. პ. მეთორმეტე ყრილობაზედო“.

დავიცადოთ ამ ყრილობის შედეგები რა სახეს მისცემს და რა კომპეტენციას დაუტოვებს ამ. კავ. ფედერაციას.

ხსენებული რეზოლიუცია გულისხმობს აგრეთვე, რომ მეორე პალატაში წარმომადგენელნი ეყოლება საქართველოს, როგორც ასეთს, თავის ავტონომიური ნაწილებით. ეს ადგილიც არ უნდა ლაპარაკობდეს ამ.-კავ. ფედერაციის მომხრეთა სასარგებლოდ.

შემდეგ ავტორი ასაბუთებს მეორე პალატის საჭიროებას:

„მეორე (ერების) პალატის შექმნა თანასწორ წარმომადგენლობის ნიადაგზე უფრო გააძლიერებს დიქტატურის და სამეურნეო ერთიანობის ორგანოებს, რამდენადაც თავიდან იცილებს კავშირში შესულ ერებს შორის უთანხმოებას და ნაციონალურ-კულტურულ ცხოვრებასთან და ნაციონალურ თავისებურობასთან დაკავშირებულ მრავალ კითხვებს გამოყოფს და გადასცემს ერების წარმომადგენლობას“.

ქვევით მონათლულნი ვართ ნაციონალიზმის დოკმატიკოსებად, მეტაფიზიკოსებად, რომელნიც ვერ გავიგებთ, რომ რევოლიუციონურ ეპოქაში აუცილებელი ხდება ერთა ნაციონალ-კულტურული ცხოვრების სრული დეცენტრალიზაციის და დამოუკიდებლობის პროცესი—სამხედრო, სამეურნეო და სხვა ღონისძიებათა ცენტრალიზაციის დაცვით. ამას გვეუბნებიან ჩვენ, რომელნიც მუდამ ვიბრძოდით ყველაფრის გაერთიანების წინააღმდეგ... თურმე ჩვენ არ გაგვეგება, რომ დეცენტრალიზაცია შესაძლებელია და აუცილებელია..

რაც შეეხება სხვა ღონისძიებათა ცენტრალიზაციას, ჩვენ ამის წინააღმდეგი არა ვართ, მაგრამ წინააღმდეგი ვართ ყველაფრის და სავსებით გაერთიანებისა. ჩვენ არ გვინდა თავი მოვიტყუილოდ ეროვნული თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის ფიქციით. ერის არსებობისა და განვითარებისათვის, მისი კულტურულად აღორძინებისათვის აუცილებელია როგორც უფლებრივი ფორმები, ისე მატერიალური საფუძველი. ამიტომ ყველაფერს და სავსებით ვერ შეველევით.

„ისინი ვერ დასძლევენ აზრს, რომ ჩვენს გაცხოველებულ დროში ნაციონალური დამოუკიდებლობა არ არის და არ შეიძლება იყოს სავსებით სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა“-ო,

განაგრძობს ავტორი. ეს რომ ჩვენ არ გვესმოდეს, მაშინ რაღა ფედერალისტები ვიქნებოდით ამხ. ბ. ამია!

„ამავე დროს ერები, რომლებიც შედიან კავშირში და ქმნიან საბჭოთა კაცობრიობის საფუძველს, აწყობენ ორგანოს, ერების საქმეების შესახებ გაფართოებულ სახალხო კომისარიატის მზგავსათ, ნაციონალურ ტკივილების განსაკურნავად და მშრომელთა ნაციონალური კულტურის მშენებლობის მიზნით. ეს არის ნაბიჯი წინ, უფრო მტკიცე და სრული ერთობისაკენ და არა წინააღმდეგ, როგორც ფიქრობენ ან გვიჩვენებენ, თითქოს ფიქრობენ, საბჭოთა ჯიშის ნაციონალისტები. ვიმეორებ ჩვენი პარტია, რომელმაც მარქსიზმის საშუალებით შეიცნო ჯადოსან ისტორიის ყველა საიდუმლოებანი, არა ერთხელ მისცემს საშვალებას „მორალური“ გამარჯვების მოტრფიალეთ კიდევ ბევრჯერ იზეიმონ ასეთი „გამარჯვებები““.

რომ მეორე პალატისებური ორგანოს შექმნა ერთა თანასწორობის დაცვით არის ნაბიჯი წინ, მტკიცება ალბად „კომუნისტის“ მკითხველებისათვის იყო საჭირო, რომელთაც ალბად ემახსოვრებად იმავე ამხ. ბ. ამიას წერილი ამ თანასწორობის წინააღმდეგ, მაგრამ რა შუაში არიან აქ საბჭოთა ჯიშის ნაციონალისტები?..

რაც შეეხება მარქსიზმის საშუალებით ისტორიის ყველა საიდუმლოებათა ამოცნობას,—ჩვენ სწორედ წინააღმდეგსა ვხედავთ, თუ მარქსიზმის ეს თილისმა-საშუალება რ. კ. პ—ს ხსენებულ „ჩვეულებაში“ არ გამოიხატება.

## რადიო დეპეშები

**ამხ. ლენინის ჯანმრთელობა.**

ბიულეტენი № 14.

**მოსკოვი** 30 მარტი. ტემპერატურა 37, პულსი—120. უკანასკნელი დღეებში ტემპერატურის აწევამ ერთგვარი გავლენა მოახდინა საერთო მდგომარეობაზე და გამოიწვია ცოტაოდენი სისუსტე.

1923 წ. 30 მარტი, დღის 2 საათი.

პროფესორები: **მინკოვსკი, ფორსტერი. კრამერი, ბუმკე,** პრივატ-დოცენტი—**კოჟევნიკოვი,** ექიმი—**ელისტრატოვი,** ჯანმრთელობის სახ. კომისარი—**სემაშკო.**

## რურის ოლქის ოკუპაცია

### გერმანიას შეუძლია წინააღმდეგობა

**მოსკოვი** 31 მარტი. „პტი პარიზიენ“-ის ბერლინელი კორესპონდენტი აღნიშნავს რურის საკითხის გამო გერმანიის მხრივ წინააღმდეგობის შეუსუსტებლობას და ამბობს, რომ გერმანიის პასიური წინააღმდეგობა გაგრძელდება კიდევ რამოდენიმე თვეობით.

### პუანკარეს განცხადება

**მოსკოვი.** 31 პუანკარემ საფინანსო კომისიაში განაცხადა, რომ რურის ოკუპაციის ეკონომიური შედეგები უმნიშვნელოა და მხოლოდ ხანგრძლივი ოკუპაციით შესაძლებელი იქნება დასახული პროგრამის განხორციელება.

პუანკარემ აღნიშნა, რომ გერმანიის მსხვილმა მრეწველებმა სცადეს უშუალოდ დაეწყოთ მოლაპარაკება საფრანგეთის მთავრობასთან, მაგრამ სახეში იქნება მიღებული მხოლოდ გერმანიის მთავრობის ოფიციალური წინადადება.

### აგონენბენ

**მოსკოვი.** 31 მარტი, გერმანიის მთავრობის მიერ ოქროს სესხის გამოცხადების გამო, სარეპარაციო კომისიამ მოაგონა გერმანიის მთავრობას, რომ თანახმად ვერსალის შეთანხმებისა მოკავშირეებს უპირატესობა აქვთ იმ კაპიტალზე, რომელიც მოეპოვება გერმანიას. ამის გამო გერმანიის პრესა აღნიშნავს, რომ სარეპარაციო კომისიის პროტესტი წმინდა იურიდიულია, ვინაიდან ოქროს სესხი მაინც არავითარ თავისუფალ რესურსებს არ აძლევს გერმანიას.

## უცხოეთი

### რა სურთ ფაშისტებს

**მოსკოვი** 31 მარტი. ფაშისტების ახალმა ორგანომ „იმპერომ“ რომელიც რომში გამოდის, წამოაყენა შემდეგი პროგრამა: ახალი არისტოკრატიის შექმნა, ყველა საზოგადოებრივი სარგებლობის დაწესებულების კერძო პირებისათვის გადაცემა, ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს გაუქმება და სიკვდილით დასჯის შემოღება, ერთა თვით-გამორკვევა და ნაციონალური უმცირესობათა უფლებებზე ლაპარაკი უაზრო ოცნებათ არის აღიარებული.

### მუშათა მოძრაობა

**მოსკოვი** 31 მარტი. ინგლისში მწარმოებლებს და მუშებს შორის დაწყებულ თუ მოსალოდნელ კონფლიქტში მონაწილეობას იღებენ საამშენებლო დარგიდან ერთნახევარი მილიონი კაცი, 1 მილიონი მაღაროს მუშა, 60.000 თიხის წარმოების მუშები და 20.000 სოფლის მეურნეობის მუშა.

### მოკავშირეების ოფიციალური ცნობა

**მოსკოვი** 31 მარტი. ლონდონიდან მიღებული ცნობით მოკავშირეების წარმომადგენლების ოსმალეთის კონტრ-წინადადების შესახებ თათბირის დამთავრების შემდეგ საღამოთი გამოქვეყნდა შემდეგი ოფიციალური ცნობა: „ოსმალეთის კონტრ-წინადადების ყოველმხრივ განხილვების შემდეგ მოკავშირეებს შორის ყველა პუნქტების შესახებ მიღწეულია სრული შეთანხმება, ყველა მოხსენებები მოწონებულია და შედგენილია ისმეტ-ფაშას 8 მარტის ნოტაზე მოკავშირეების საპასუხო ტექსტი, რომელიც დასამტკიცებლად გაეგზავნება დაინტერესებულ სახელმწიფოებს.

### ახალი გაზეთი

**მოსკოვი** 31 მარტი. ბერლინში ზევერინგის მიერ დახურულ გაზეთ „ფრეიხეიკის“ მაგიერ გამოვიდა გაზეთი „ნეიე ფრეიხეიტ“.

### მუშათა მოძრაობა პოლონეთში.

**მოსკოვი,** 31 მარტი. ლოძაში, კოზნანში და გრუძიანში გაიმართა მიტინგები. კომუნისტ დეპუტატის კრულიკოვსკის მონაწილეობით, რომელიც პირველად გამოვიდა კრებებზე ციხიდან განთავისუფლების შემდეგ, მუშები ყველგან ხვდებოდენ კრულიკოვსკის ოვაციებით, ის შენობები სადაც მიტინგები იმართებოდა, გაჭედილი იყო ხალხით. გრუზიანში პოლიციამ დააპატიმრა მუშათა კრება, სადაც კრულიკოვსკი იმყოფებოდა, მაგრამ უკანასკნელის მეორეჯერ დაპატიმრება ვერ გაბედა. ლვოვში გალიციის პოლონეთის შემოერთების წინააღმდეგ გამართულ საპროტესტო დემონსტრაციის ერთ-ერთ სახლის აივანზე გამოჩნდა უკრაინის ნაციონალურ მოძრაობის უხუცესი მოღვაწე რამანჩუკი, რომელმაც წარმოსთქვა სიტყვა. მრავალრიცხოვანმა ხალხმა დასდო ფიცი ებრძოლოს პოლონელებს და ელჩთა კონფერენციის გადაწყვეტილების წინააღმდეგ.

კვირას, აპრილის 1-ს დილის 11 საათზე, პარტიის ცენტრალურ კლუბში (ლორის-მელიქოვის ქ. № 1)

ამხ. სერ. ამაღლობელი წაიკითხავს მოხსენებას შემდეგ თემაზე:

# „ჩვენი პოლიტიკა სოციალ.-ფედერალიზმის სამსჯავროს წინაშე.

(მოხსენება მარტის 25-ს არ შესდგა მომხსენებლის ტფილისიდან გამგზავრების გამო.)

შესვლა შეუძლია პარტიის წევრებს.

ნე-4 საუ. ნო კომიტეტი.

## რ უ ს ე თ ი.

**ლიტველ ამხანაგების ჩამოსვლა.**

**მოსკოვი.** 31 მარტი. მოსკოვში ჩამოვიდენ კოვნოს საკატორღო ციხეში მყოფი ლიტველ ამხანაგების პირველი პარტია—4 მუშა და ერთი მუშა ქალი.

**შრომის დაცვა.**

**მოსკოვი.** 31 მარტი. დაქირავებული შრომის ნიადაგზე აღძრულ კონფლიქტების გადასაწყვეტად შრომის სახალხო კომისარიატთან და მის ადგილობრივ ორგანოებთან არსდება შემარიგებელი კამერები და სამედიატორო სასამართლოები. კამერებში შედიან ორივე მხარეს წარმომადგენელთა თანასწორი რიცხვი. თუ შემარიგებელ კამერაში შეთანხმება არ მოხდა საქმე გადაეცემა სამედიატორო სასამართლოს.

## ახალი ამბები.

— **სოფ. ფახულანის მცხოვრებთა შუამდგომლობა.** სოფ. ფახულანის მცხოვრებლებმა შუამდგომლობით მიმართეს პრეზიდიუმს, რათა მათი სოფელი მიწერილ იქნას სამურზაყანოს მაზრასთან. პრეზიდიუმმა ეს საკითხი განსახილველად გადასცა შინ. საქ. სახ. კომისარიატს.

— **სიმშილობის შედეგებთან მებრძოლ კომიტეტის შუამდგომლობა.** სიმშილობის შედეგებთან მებრძოლ კომიტეტმა შუამდგომლობა აღძრა დამზღვევ კასის წინაშე კასაში შესატან ანარიცხის 21 პროც. 10 პროც. დაკლების შესახებ.

— **სასკოლო ასაკამდე ბავშვთა ხელმძღვანელების კონფერენცია.** განათლების სოც. აღზრდის მთავარ მმართველობამ დაადგინა მაისის შუა რიცხვებში მოიწვიოს სასკოლო ასაკამდე ბავშვთა ხელმძღვანელების კონფერენცია.

— **ბავშვთა დღე.** ამავე მმართველობამ საჭიროთ სცნო შემოიღოს ბავშვთა საერთო უქმე დღე წელიწადში ერთხელ. აღნიშნული უქმე განზრახულია დაწესდეს მაისის ერთ-ერთ დღეს.

— **კორესპოდენციების გადაგზავნის დაჩქარება.** კორესპონდენციის გადაგზავნა მიღების დასაჩქარებლად ა. კ. ფოსტა ტელეგრაფის კომისარიატი ტფილისის ქუჩებზე ჩამოკიდებულ ყუთებს ამიერიდან გასწმენდს წერილებისაგან ორჯერ დღეში დილის 8 საათიდან და საღამოს ხუთ საათიდან.

## ჟურნალ-გაზეთებიდან.

**ფაშიზმთან მებრძოლი საერთაშორისო ორგანიზაცია.** ბერლინში კლარა ცეტკინის თავმჯდომარეობით შეიქმნა ფაშიზმთან მებრძოლი დროებითი საერთაშორისო კომიტეტი. ამ კომიტეტმა ღია წერილით მიმართა ლონდონის, ვენის და ამსტერდამის ინტერნაციონალების აღმასკომებს და აგრეთვე მუშათა ახალგაზრდობის ინტერნაციონალს და სინდიკალისტურ ორგანიზაციებს. დროებითი კომიტეტის წერილში აღნიშნულია, რომ ფაშიზმის საფრთხე ყველა ქვეყნებს ემუქრება. განსაკუთრებით თავგამოდებით იბრძვის მუშათა ორგანიზაციების წინააღმდეგ იტალიური ფაშიზმი. ყველა მუშათა ორგანიზაციების ვალია განურჩევლათ პოლიტიკურ მიმართულებისა დახმარება გაუწიოს იტალიის პროლეტარიატს ფაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში. დროებითი კომიტეტი, რომლის ამოცანა არის აამხედროს ყველა მუშათა ორგანიზაციები ფაშიზმთან საბრძოლველათ, შესდგა კომინტერნის მეოთხე კონგრესის ინიციატივით; ჯერჯერობით მასში შედიან: კომინტერნის, წითელი პროფინტერნის და კომუნისტური ახალგაზრდობის ინტერნაციონალის წარმომადგენლები. ამ ჟამათ ეს კომიტეტი მიმართავს მუშათა სხვა ორგანიზაციებს წინადადებით, შექმნან მასთან ერთად ფაშიზმთან მებრძოლი კომიტეტი, რომლის პირველი ამოცანა იქნებოდა საერთაშორისო ფონდის შექმნა, ფაშიზმის მსხვერპლთა დასახმარებლად. ამას გარდა დროებითი კომიტეტი წინადადებას იძლევა ახლავე იქნეს გამოცემული ბიულეტენები და დაიწყოს კამპანია მთელ მუშათა პრესაში იმისათვის, რომ გაშუქებულ იქნეს ფაშისტური საფრთხის მნიშვნელობა მუშათა კლასისათვის და აუცილებლობა მასთან გადამწყვეტი ბრძოლისა. კომიტეტი მუშათა ორგანიზაციების ყურადღებას აქცევს იმას, რომ თავის დროზე რეაქცია მძვინვარებდა ხორტის უნგრეთში და საერთაშორისო პროლეტარიატი სდუმდა. იტალია არ უნდა შეიქნეს ხორტის. უნგრეთის მეორე გამოცემათ. ამიტომ კომიტეტი დაიმედებულია, რომ ყველა მუშათა ორგანიზაციები დაუყონებლივ გამოსთქვამენ თანხმობას გაგზავნონ თავიანთი დელეგატები კონფერენციაზე, ფაშიზმის საწინააღმდეგო საერთო ზომების გამოსამუშავებლად.

## მეცნიერება და ტეხნიკა

**ჰარუნ-ალ-რაშიდის რეზიდენციის გათხრა.** ბერლინის „მხატვართა სახლში“ პროფესორმა სარემ წაიკითხა მოხსენება 1911—1913 წლებში წარმოებული,—მე-9 საუკ. კალიფ აბასიდების რეზიდენციის სამარრის გათხრის შესახებ. ამ თხრებმა მეტად ძვირფასი მასალა მოგვცეს ძველი ისლამიტური ხელოვნების ისტორიისათვის. სამარრის ნანგრევები მდებარეობს 160 კილომეტრის სიგრძეზე ტიგრის მარცხენა ნაპირს. ქალაქი გაშენებული იყო ცნობილი ჰარუნ-ალ რაშიდის (ცნობილის აგრეთვე „1001 ღამიდან“) შვილებისა და შვილი შვილების მიერ. ნახული იქნა 846 წელს აშენებულ მეჩეთ მუტაბატულის ნანგრევები, რომელიც იტევს 100 000 კაცს. მეჩეთი მდიდრულად იყო მორთული მარმარილოს კოლონებით, ჭიქის მოზაიკით ოქროზე და სხვ.; მის მინარეთს 50 მეტრის სიმაღლე ქონდა. ასეთივე სიდიდის იყო ორი სასახლე ტიგრზე. ბულკამარის სასახლე აშენებულია რომაული ბანაკებისმსგავსათ მეორე ეკასვა სივრცე 175 მეტრი ქონდა სადღესასწაულო კიბე 60 მეტრს განით, ბაზილიკები, ესპლანადები, შადრევნები, აუზები, საზაფხულო მინის ქვეშა ბინები და სხ. საყურადღებოა, რომ შენახულ კედლის ფრესკებზე არის გამოხატულება მოცეკვავეთა და მონადირეების, თუმცა ყურანი კრძალავს ადამიანების გამოხატულებას. ძალიან განვითარებული იყო მხატვრობა ფაიანსით, რომელიც გადმოღებული იყო ძველ ბაბილონიდან; არაბებმა შეიტანეს ეს ხელოვნება ისპანიასა და იტალიაში. ყველაზე უფრო საკვირველი არის ის, რომ კარლოს დიდის ეპოქის პირველი (თეთრი) ფაიფური და ჩინური ჭურჭლები აქ იქმნა ნახული.

**საინტერესო ცდები.** ნიჟეგოროდის რადიოლაბორატორიაში სწარმოებს გამოკვლევა ტელემექანიკის სფეროში,—აპარატების მართვაში მანძილიდან შესაძლებელი აღმოჩნდა სიგნალების გადაცემა ელექტრო მაგნიტური ტალღებით; შესაძლებელია მატორის ამუშავება, ელექტრული ლამფის ანთება, რომლებიც რამოდენიმე ვერსით არიან დაშორებული.

## წერილები სოფლიდან

**სენაკის მაზრა.** მდინარე აბაშაზე არის წყალვარდნილი. მას დიდს ყურადღებას აქცევდნენ ნიკოლოზის დროს უცხოეთის და რუსეთის კაპიტალისტების სურდათ მისი განოყენება.

არც საბჭოთა ხელისუფლების გულისყურის გარეშე დარჩა იგი. სენაკის სამაზრო აღმასრულებელ კომიტეტმა გადაწყვიტა ამ წყალვარდნილზე ჰიდრო ელექტრონულ სადგურის აშენება. ამ მიზნისთვის აღმასკომმა ტფილისიდან მოიწვია გამოცდილი ინჟინერი. შემოწმება—გამოკვლევამ დაადასტურა, რომ სადგურმა 1.000 ცხენის ძალის გაცემა შეუძლია წყლის შესანახის გარდა. ხოლო წყლის შესანახის მოწყობით სადგური მოგვცემს 3—4000 ცხენის ძალას. ეს მეტად კოლოსალური რაოდენობაა.

სადგური მისცემს ელექტრონის სინათლეს ქ. სენაკს, მაზრის ყველა 7 რაიონის პუნქტებს, ქ. ხონს და ზუგდიდს. აგრეთვე შესაძლებელია ამ ადგილებში ელექტრონული წისქვილების და ხის სახერხ ქარხნების მოწყობა. ამას გარდა საკმაო რაოდენობის ენერგია რჩება სასოფლო მეურნეობის ელექტროფიკაციისთვის და ტრამვაის მიმოსვლის მოსაწყობად მაზრებსა და რაიონულ პუნქტებს შუა.

ჰიდრო-ელექტრონულ სადგურის პროექტი წარუდგინა მოსკოვის ცენტრალურ რაიონის ელექტრო-ტრესტს, რომლის წინასწარი გამოანგარიშებით სადგურის მოწყობა 220 ათასი მანეთი დაჯდება ოქროთი. ელექტრო-ტრესტი ხელს ჰკიდებს სადგურის აშენებას. სენაკის მაზრის საბჭოების მეორე ყრილობა დიდის აღფრთოვანებით შეხვდა ელექტრო სადგურის აგების იდეას. მან გასცა სპეციალური მოწოდება მშრომელ ხალხისადმი ამ ისტორიული საქმის დაგვირგვინებისათვის.

ამიერ-კავკასიის სახ. კომისართა საბჭომ გადასწყვიტა გაუწიოს დახმარება სენაკის სამაზრო აღმასკომს ჰიდრო-ელექტრონული სადგურის აშენების საქმეში და გადასდო მის განკარგულებაში დახმარების ერთი ნაწილი—10 ათასი მან. ოქროთი. ს. ს. ს. რესპუბლიკის მთავრობამაც გადასდგა ამ მიმართულებით საგულისხმო ნაბიჯები.

უეჭველია, რომ სენაკის აღმასკომის ენერგიული მუშაობა ლოღიკურ დასკვნამდე მიიყვანს დაწყებულ სამარადისო საქმეს.

**ტინტილა.**

## გაზაფხული

მიწის მუდმივ ტრიალით განუსაზღვრელ ქაოსში
დაქორწილდა ბუნება ცისფერ ტანისამოსში!
ვარდისფერი ქარია... ველზე მოსჩანს ყვავილი;
ძირს ეშვება ღიმილით მზე ოქროს თმებ გაშლილი.

***

დღის წარმტაცი ზღაპარი ტკბილმა ღამემ დამალა,
ლურჯ ეთერში აცურდა ბროლის მთვარე ნამგალა;
აყვავებული მთები ვერცხლისფერად დაფერა;
ისმის ახალი ხმები მომხიბლავი სიმღერა!

***

მშვენიერი დილაა, სილამაზე ზღაპრული.
იღიმება ყოველი,—ხარობს ყველა სულდგმული.
დღესასწაულობს ბუნება, ირხევიან ხეები
და მოდიან სიცილით გაზაფხულის დღეები.

**დ. კობიძე.**

## ოსკარ უაილდი

**მოქანდაკე.**

ერთ საღამოთი მის სულში აღიძრა მოთხოვნილება შეექმნა სახე „**ბედნიერება, რომელიც გრძელდება მარტოოდენ რამოდენიმე წუთით**“ და რადგანაც მხოლოდ ბრინჯაოთი შეეძლო მას განესახიერებია თავისი სურვილი. იგი გაემგზავრა ბრინჯაოს საძებნად; მაგრამ მთელს ქვეყანაზედ არ იყო ბრინჯაო. და არსად შეიძლებოდა მისი შოვნა, გარდა იმ ქანდაკებისა. რომელიც იწოდებოდა (**მწუხარება მარად მყოფელი**.) ეს ქანდაკება მან საკუთარი ხელებით ჩამოასხა და მით დაამშვენა საფლავი ქალისა, რომელიც მას ერთად-ერთი უყვარდა მთელს თავის სიცოცხლეში. იმ გარდაცვალებულის საფლავზედ, რომელიც მისთვის ყველაფერზედ უძვირფასესი იყო ქვეყნად, მან აღმართა ეს თავისი ხელის ქმნილება, რომ იგი ყოფილიყო სიმბოლოდ ადამიანის გაუხრწნელი სიყვარულისა, მწუხარების სახედ, რომელიც მარად სცოცხლობს და მთელს ქვეყანაზედ შეუძლებელი იყო სხვა ბრინჯაოს შოვნა, გარდა ამ ქანდაკებისა.

და აიღო მან თვისგან შექმნილი ქანდაკება, გადაადნო ის დიდი ღუმელის ცეცხლში და ქანდაკებიდან: „**მწუხარება მარად მყოფელი**“, მან ჩამოასხა ქანდაკება: „**ბედნიერება, რომელიც გრძელდება მხოლოდ რამოდენიმე წუთით**“.

**ვ. ბუთლიაშვილი.**

## სოციალისტური პარტიები და ნაციონალიზმი

2.

„თავის მოტყუილება იქნებოდა რომ გვეფიქრა. თითქოს ნაციონალური კითხვა ჩვენ უკვე გადავჭერით“.

**ლ. ტროცკი.**

ჩვენ სისტემატიურად მიუთითებთ კომუნისტურ პარტიას, რომ საბჭოთა რესპუბლიკების კავშირში არ არის დაცული უმთავრესი დებულება სოციალისტური ფედერალიზმის—ერთა თანასწორობა. ჩვენ აღვნიშნავდით და დღესაც ვიმეორებთ, რომ ვერც პოლიტიკური ორგანიზაციის მისაღები და იდეალური ფორმა შესძლებს ეროვნული საკითხის მოგვარებას, თუ არ იქნა ენერგიული, გარკვეული ნაბიჯები გადადგმული ერთა უფლებების ურყევად და მტკიცედ დაცვისა.

ჩვენთვის, როგორც ფედერალისტებისათვის, ყველაზედ კარგად არის გათვალისწინებული სახელმწიფოთა კავშირის საჭიროება და აუცილებლობა. არა თუ ლენინისა და სტალინის ფედერალიზმი, არამედ ჩემბერლენის ფედერალიზმის რეალიზაციაც პროგრესიულ მოვლენად უნდა ჩაითვალოს სახელმწიფოთა სეპერატიულ მდგომარეობასთან შედარებით, რაც ბუდეა მილიტარიზმისა და მარინიზმის. მიუხედავად ამისა დღეს რევოლიუციონურ პერიოდში ვერ დავკმაყოფილდებით „მინიმუმებით“ და ყოველი საკითხი რადიკალურად უნდა დაისვეს და შესაძლეობის ფარგლებში მაქსიმუმი უნდა იქნეს მიღწეული.

მართლადაც და, თუ ერმა რევოლიუციის პროცესში არ იბრძოლა თავის უფლებების დაცვისა და უზრუნველყოფისათვის, მაშ როდისღა უნდა იბრძოლოს?

ხშირად ზოგიერთი უმ[illegible]რო მ[illegible]ზროვნენი უპირისპირებენ რევოლიუციას და ერს. მათი მოტივაცია მასში მდგომარეობს, რომ რევოლიუციის პროცესში ეროვნულ უ[illegible]ლებათა შეზღუდვა აუცილებელია, რომ სოციალური გარდაქმნის ეპოქაში შეიძლება საკითხი დაისვეს ან ერის ინტერესების დაცვა და რევოლიუციის უარყოფა, ან რევოლიუციის სამსახური და ეროვნულ უფლებათ. შევიწროება. საკითხის ასე დასმა პოლიტიკური დილეტანტიზმის შედეგია. რევოლიუცია არავითარ შემთხვევაში არ მოითხოვს ეროვნული თავისუფლების შეზღუდვას. რევოლიუცია, ერის წინააღმდეგ მიმართული,—არ არის რევოლიუცია, იგი რეაქციაა.

ჩვენ გვესმის გარდამავალ პერიოდის პროცესის მტკივნეულობა, მაგრამ ეს არავითარ შემთხვევაში არ მოითხოვს ერთვნული ერთეულის მსხვერპლად მიტანას. ყოველი რევოლიუციის პროცესი შეიძლება იყოს „რეგრესით“ პროგრესისაკენ, რამდენაც რევოლიუციონური ტეხილები თავის განვითარების პირველ პერიოდში მოითხოვს ნგრევას და ამდენავე ნორმალური განვითარების შეფერხებას, „რეგრესს“ რომ შემდეგ აღმშენებლობის პერიოდში გაკაფულ იქნეს ნიადაგი ახალი სოციალ-პოლიტიკური შენობის აღმართვისათვის.

ამდენადვე ერის ხსნა რევოლიუციაშია და რევოლიუცია არ შეიძლება იყოს ერის საწინააღმდეგოთ მიმართული.

როგორც პირველ წერილში აღვნიშნეთ, ოქტომბრის რევოლიუციამ ერთი ნაბიჯი გადადგა წინ ეროვნული პოლიტიკის სფეროში. დღეს ამხ. კამენევი უკვე ხედავს იმ შეცდომას, რომელიც დაშვებულ იქნა საბჭოთა რესპუბლიკების დაკავშირების დროს და გვეუბნება, რომ „პარტიის ძვალ-რბილში კიდევ არ არის გამჯდარი საკითხის (ეროვნული საკითხის ს ა.) სწორი შეგნებაო“. ამხ. კამენევი დიდი სიფრთხილით ცდილობს ეროვნული საკითხისადმი მიდგომასა და გადაჭრას. მისთვის ნათელია, რომ ყოფილ დაჩაგრულ ერებში შეიძლება უნდობლობა იყოს ეროვნული საკითხის გარშემო. მას არ ავიწყდება ორი გარემოება, რომელიც ძირითადი დებულებაა მისთვის ეროვნული საკითხის გადაჭრისათვის. ეს დებულებანი შემდეგია—1—რომ საბჭოთა წყობილების მტრები გამოიყენებენ არსებული კავშირის უარყოფით თვისებებს, არა თანასწორ წარმომადგენლობას და იტყვიან: „ამნაირი წარმომადგენლობა თანასწორობას არა ჰგავსო“, 2—რომ აღმოსავლეთში რევოლიუციის გაჩაღებისათვის საჭიროა ეროვნული საკითხის სწორი გადაჭრა, რადგან „მსოფლიო რევოლიუცია მოდის აღმოსავლეთიდან“.

ამხ. კამენევი დაასკვნის: „**ამიტომ დაიბადა აზრი, რომ ცენტრალურ აღმასრულებელი კომიტეტის მაგივრად დაწესებულ იქნეს ისეთი ორგანო, რომელშიაც შევლენ საბჭოთა რესპუბლიკები არა მცხოვრებთა რაოდენობის, არამედ თვით ეროვნული წიგნების მიხედვით**“. (ხაზი ჩვენია ს. ა.).

რას გვეუბნება ამხ. ლ. ტროცკი?

იგი აღნიშნავს, რომ „წინათ, დაჩაგრულ განაპირა ქვეყნებში, ყველა სოციალური, კლასობრივი, ეკონომიური, ადმინისტრატიული და კულტურული კითხვები **სწორი კუთხიდან** sic დიდ გადახრას განიცდიან და იტეხებიან ნაციონალურ პრიზმაში“ (ხაზი ჩვენია. ს. ა.).

ამხ. ლ. ტროცკისათვის წარმოსადგენია ისეთი მდგომარეობაც, როდესაც ნაციონალური საკითხი შეაკავშირებს მოწინააღმდეგე კლასებსაც „აღადგენს მტკიცე „სმიჩკას“ მშრომელთა და ბურჟუაზიის შორის“. მისთვის არ არის დაფარული, რომ კომპარტიის „რიგებში იმალება დიდმპყრობელური ნაციონალიზმი“. აშკარა ფაქტია ისიც, რომ „ნაციონალისტური ტენდენციები პატარა ერის კომუნების ტებში ნიშანია იმის, რომ „დიდმპყრობელური ცოდვები საერთოდ სახელმწიფო აპარატში და თვით პარტიის ზოგიერთ კუნჭულებში სავსებით აღმოფხვრილი არ არის“.

ამიტომ იგი გვეუბნება „**ნაციონალური საკითხის სფეროში პარტია საჭიროებს განმეორებით კურსსო**“... (ხაზი ჩვენია ს. ა.)

ავტორისათვის სრულიად სამართლიანად გათვალისწინებულია, რომ ერთი საუკეთესო იარაღი მემარჯვენე პარტიების დამარცხებისა განაპირა რესპუბლიკებში არის ნაციონალური საკითხის სწორი გადაჭრა. ეს მათ ხელიდან გამოაცლის იარაღს საბჭოთა წყობილების საწინააღმდეგოდ.

ამხ. ლ. ტროცკი სამართლიანად განაგრძობს რომ თვით პატარა და ჩამორჩენილ ერებშიაც ვამჩნევთ ჩვენ ხშირად ნაციონალური საკითხისადმი არა საკმაო ყურადღებას“.

„ხელს იქნევენ ნაციონალურ კითხვებზედ ზოგიერთი უფროსი ამხანაგებიც იმ საბუთით, რომ ეს დროებითი „დათმობათია“ ისე, როგორც ჩვენი „ნაროდნიკული“ პროგრამა ან ახალი ეკონომიური პოლიტიკა რა უყოთ, ამ შედარების მიღება პირობით შეიძლება, რასაკვირველია უფრო ადვილი იქნებოდა სოციალიზმის დამყარება, რომ საჭირო არ იყოს ნაციონალური „დათმობები“, ე. ი. რომ წარსულში ადგილი არ ქონოდა ნაციონალურ ჩაგვრას, აწმყოში კი—ენისა და ნაციონალური კულტურის სხვადასხვაობას. ასევე ადვილი იქნებოდა სოციალიზმის დამყარება, რომ მრავალმილიონიანი გლეხობა არ გვყავდეს, შეიძლება უფრო შორს წავიდეთ და ვთქვათ: პროლეტარული რევოლიუციისათვის უკეთესი იქნებოდა, რომ აზიაც კლასობრივი ბრძოლის ისეთ კაპიტალისტურ არენას წარმოადგენდეს, როგორსაც ევროპა, მაგრამ საკითხის ასე დასმა სრულიად უსიცოცხლოა“.

„ჩვენი პარტიის უძლიერესი რევოლიუციონური რეალიზმი იმაში მდგომარეობს, რომ ფაქტებს რევოლიუციის ინტერესებში ვიღებთ და ვალაგებთ „ისე, როგორც არის სინამდვილეში.“

„**ნაციონალური კითხვის სფეროში პარტია საჭიროებს განმეორებითი კურსს, ახალგაზრდობა კი დაწყებითს**“. (ხაზი ჩვენია).

„ეს კურსი თავის დროზე და მტკიცე პროგრამით უნდა იქნეს გავლილი: რადგან **ის, ვინც ივიწყებს ნაციონალურ კითხვას, დაიხრჩობა მასში.**“ (ხაზი ჩვენია.)

ამხ. ლ. ტროცკის წერილი ძლიერ საყურადღებოა ბოლშევიკურ აზროვნებისათვის ნაციონალური საკითხის სფეროში. ჯერ კიდევ მეტად დიდია გადაჭარბებული ცენტრალიზმის ნაშთები, როგორ ბოლშევიკურ იდეოლოგიაში, ისე პრაქტიკაში. ამხ. ლ. ტროცკი რევოლიუციონური გულახდილობით ამბობს ყოველივე ნაკლს, იგი სამართლიანად ხაზს უსვამს, რომ ჯერ კიდევ ნაციონალური საკითხი არ გადაწყვეტილა და პარტიასაც ესაჭიროება მისთვის „განმეორებითი კურსი“.

ყოველივე ეს დიდმნიშვნელოვანია იმდენათ რამდენათაც იგი რევიზიაა ნაციონალური საკითხის სფეროში.

# ტფილისის სახალხო აუდიტორიათა მუშა—პიონერები:



გ. ჯაბაური
(რკ. გზის მუშა-„სტოლიარი)



იოსებ იმედაშვილი
(მწიგნობარ-ლიტერატორი პროფესიით ზეინკალი)



ივ. მჭედლიშვილი
(ასოთ-ამწყობი გარდაიცვალა)



ალ. ბაჯიაშვილი
(თუთუნის ფაბრიკის მუშა)



ბესო მაისურაძე
(ასოთ-ამწყობი)



ნ. გოცირიძე
(რკ. გზის მუშა-მხატვარი)



გ. გელიკურაშვილი
(რკ. გზის მუშა-კონდუქტორი გარდაიცვალა)



მიხ. თუშმალიშვილი
(ლითონის ჩამომსხმელი)



ალ. ბაქრაძე
(პიესების დამწერი და მოკარნახე)



ლ. ბალაშვილი
(მეჩექმე მუშა)



რ. სალაყაია
(მლებავი მუშა)

## ძველი მუშები

გაზ. „ტრიბუნა“-ს ერთ ერთ ნომერში ჩვენ ძველი მუშის ს. ლომთათიძის წერილის გამო შევეხეთ თეატრების ერთ უძველეს ასოთ-ამწყობ ბესო მაისურაძის მოღვაწეობას. პირველ წერილში, როგორც მკითხველებიც დაინახავდნენ, ჩვენ ბ. მაისურაძის მოღვაწეობის ბიოგრაფია არ დაგვიწერია; ჩვენ მხოლოდ მწუხარებით აღვნიშნეთ ის გარემოება, თუ რატომ ასეთი ძველი მოღვაწეების დაფასება ვერ მოვახერხეთ დღეს, როდესაც ჩვენს ქვეყანა მშრომელთა ბატონობაა.

ჩვენ ისიცა ვსთქვით, რომ მაშინდელ ძველი მუშების საქმიანობას მარტო კულტურული მნიშვნელობა არა ჰქონდა, არამედ უმთავრესად პოლიტიკური სარჩული ედვა და მკითხველების ყურადღებაც სწორედ ამ მხარეს გვსურს მივაქციოთ.

ამხ. ლომთათიძეს თუ მოუსმენთ, რასაკვირველია მართალია ის ამბავი, რომ ტფილისს ერთი ქართული თეატრი ჰქონდა, რომელიც ეკუთვნოდა თავად-აზნაურობას და იგი მშრომელი ხალხისთვის მიუწდომელი იყო და პირდაპირ არარას წარმოადგენდა, რომ ეს მართალია ამას სხვათა შორის 1910 წელს ქ-რ-ი. თეატრში მომხდარი „სკანდალიც“ ამტკიცებს, როდესაც თეატრის მორიგმა გამგეობის წევრმა ერთი ქართველი „ჩოხოსანი“ გამოაძევა თეატრის „პარტერიდან“ იმიტომ, რომ ის „კინტურად“ იყო ჩაცმული და ასეთი მოქალაქეს ალაგი არ უნდა ჰქონიყო არისტოკრატიულ წრის „ლორნეტიან“ „დამებს“ შორის. ამ „სკანდალის“ გარშემო თავის დროზე პრესაში დიდი დავა და კამათი იყო ატეხილი.

ეს პატარა ფაქტიური მოგონება იმის ილიუსტრაციაა, რომ ძველად არა თუ მარტო ის ერთად ერთი თეატრი მიუწდომელი იყო მშრომელი ხალხისთვის, არამედ **ჩვენ იქიდან გვერეკებოდნენ.**

ამის შემდეგ ბუნებრივად იბადება კითხვა:— მაშინ, როდესაც საერთოდ მშრომელ ხალხს და კერძოდ მუშათა კლასს გვდევნიდნენ ჯერ ნიკოლოზის „ყაზახ-ჟანდარმების“ და მერე გაბატონებული კლასი—ბურჟუაზია, მაშინ, როდესაც ტფილისს ერთი (თავად-აზნაურთა) თეატრის მეტი არ გააჩნდა მუშა ხალხს სხვა თავშესაფარი და აქედანაც ერეკებოდნენ, სად უნდა წასულიყო ეს მუშა ხალხი, ვინ მასცემდა მას ნებართვას, ფულს, დახმარებას, ვინ იკისრებდა მეთაურობას, ვინ გაბედავდა იმ ინკვიზიციის ხანაში, რომ გადაედგა გმირული და გაბედული ნაბიჯი, რომ მოეგვარებინა **საქმე და დევნილი** მშრომელი ხალხის გონებრივი, კულტურული და ესთეტიური მოთხოვნილება დაეკმაყოფილებინა.

სახალხო თეატრების აღორძინების პატარა ისტორია, რომელიც დასწერა ძველმა რკინის გზელმა მუშამ და ამ თეატრების ერთმა მეთაურმა გიორგი ჯაბაურმა, (იხ. „თეატრი და ცხოვრების №№) ნათლად გვაცნობს ვინაობას ამ მეთაურებისას.

ესენი იყვნენ სხვა და სხვა პროფესიის ძველი მუშები და ის მშრომელი ინტელიგენტები, რომელნიც ცუდ განწყობილებაში იყვნენ ნიკოლოზის მთავრობის წეს-წყობილებასთან.

აი, სწორედ ეს პირები შეიჭრნენ ტფილისის ჯურღმულებში და დაიწყეს არალეგალურად სახალხო წარმოდგენების მართვა (მთავრობის ნება დაურთველად). მწარედ გეცინება, როდესაც ისმენ იგივე ბესო მაისურაძის მოთხრობას იმის შესახებ. თუ რამდენჯერ წაუყვანიათ იგი პოლიციელებს გრიმებში და „ხანუმას“ კაბაში გადაცმული.

წარმოდგენებს მართავდენ: ნაძალადევში, ავლაბარში, მთაწმინდაში, კუკიაში, ჩუღურეთში. კოლოთანხში, ხარფუხში და მრავალ ყრუ ალაგებში. ხარჯავდნენ საკუთარ ფულს და ენერგიას ამ კონსპერატიულ წარმოდგენებზე.

ვინ იყვნენ ამ საქმის მეთაურები მაშინდელ დროში?

როგორცა ვსთქვით, ესენი იყვნენ ხელოსანი ძველი მუშები: გიორგი ჯაბაური, ბესო მაისურაძე ალ. ბაჯიაშვილი, ივ. მჭედლიშვილი, ნიკო გოცირიძე, ლ. ბალაშვილი, იოსებ იმედაშვილი, რ. სალაყაია, ალ. ბაქრაძე, მიხ. თუშმალაშვილი, დ. ძნელაძე, გიგო გელიკურაშვილი, ნინო საყვარელიძე, დარო რჩეულიშვილი, ლიზა ვარშაკიძე და მრავალი სხვანი, რომელთა აქ ჩამოთვლა ყოვლად შეუძლებელია.

ამ პირებმა ხანგრძლივ იმუშავეს კონსპერატიულად და მხოლოდ 1893 წ. იოსებ იმედაშვილის მთავარი ხელმძღვანელობით დაარსდა ტფილისში პირველი მუშათა სახალხო აუდიტორია-თეატრი. (ყოფილი „საჩაიე“ ავჭალის ქუჩაზე). აქ სულ მუშები მუშაობდნენ, ინტელიგენცია შემდეგ მიეშველა გ. ლასხიშვილის, თ. სახოკიას, მ. დემურიას და სხვათა სახით.

1905 წლის შემდეგ კი, როდესაც რევოლიუციონური მოძრაობა ჩააქრეს და რეაქციამ ფრთა გაშალა, სწორედ იმ დროს, როდესაც არა თუ რაიმე კონსპერატიული კრებების გამართვა შეიძლებოდა, არამედ ქუჩაში ორ კაცს ერთად არ შეეძლო გაევლო გაძლიერებულ პატრულების ალყაში, (მაგ. ავლაბრის ბოქაულმა რამდენიმე ამხანაგი დაგვაპატიმრა და წინადადება მოგვცა აგვერჩია ორში ერთი:—ან ვოლოგოდის გუბერნია, ანდა ხელწერილი მიგვეცა იმის შესახებ, რომ ჩვენ ავლაბრის რაიონში აღარ გაგვევლო). აი ასეთ სასტიკ პირობებში აუცილებელი გახდა გამოსავალი ხვრელები და ეს ხვრელი ჩვენთვის იყო განაპირა უბნებში **სახალხო თეატრები.** ამ დროს მთელი რევოლიუციონური პრაქტიკული მუშაობა, რის გაკეთებაც კი შეიძლებოდა, გადატანილი იქმნა ამ სახალხო თეატრებში. ეს ამბავი მთავრობისათვის შეუმჩნეველი არ დარჩა და ამიტომაც ხშირი იყო ისეთი შემთხვევა, როდესაც წარმოდგენების მსვლელობის დროს თავს გვესხმოდნენ მთავრობის აგენტები, ჩრეკდნენ და აპატიმრებდნენ, როგორც დამსწრე მუშებს, ისე „მუშა-არტისტებს“.

რის გაკეთება შეეძლოთ ამ მუშებს ამ სახალხო აუდიტორიებში?

ამ აუდიტორიებში იმართებოდა კონსპერატიულად საქველმოქმედო მიზნით წარმოდგენა-საღამოები ორგანიზაციების და დაპატიმრებულ ამხანაგებას სასარგებლოდ; აქ იცემოდა მუშებს შორის განკარგულებები კომიტეტის და იაჩეიკების; აქ იკრიბებოდა საწევრო და იარაღის შესაძენათ ფულები, აქ ვრცელდებოდა რევოლიუციონური ლიტერატურა და უმთავრესად აქ ხდებოდა ის, რომ ამ აუდიტორიებში საშვალება ეძლეოდად მუშებს, თავი მოეყარათ და აზრთა გაზიარებით ხაზეინების წინაამდეგ გაფიცვები მოეწყოთ. აი, ამ აუდიტორიებში წარმოდგენა-საღამოების გარეშე რა გაკეთდებოდა.

ასეთი მიზნით მუშაობას განსაკუთრებით ალაგი ჰქონდა 1905 წ. შემდეგ და წინეთაც ნაძალადევში და ავლაბარში; რკინის გზის თეატრში მუშაობდენ ალ. ლანდია, ხაფოასი, გ. ჯაბაური, ლ. ლეჟავა და ტერორისტი დათიკო კაჩაური. ავჭალის აუდიტორიაში კი მარიამ დემურიას მეთაურობით ნ. გოცირიძე, გ გელიკურაშვილი, მ. თუშმელოვი, ალ. ბაქრაძე, დ. შველიძე, ს. რომანიშვილი, ანანიაშვილი და მრავალი სხვანი.

ამ მიმართულებით მუშაობაში ავლაბარმა ყველას გაასწრო. 1902 წელს პირველი თეატრის მეთაურობა (მურაშკოსი) იკისრა იოსებ იმედაშვილმა, რომელსაც ხელს უწყობდენ და თანამშრომლობდნენ ძველი მუშა-მსახიობნი ბ. მაისურაძე, ივ. მჭედლიშვილი, ლ. ბალაშვილი, ლ. პოლოსოვი, კ. მეტრეველი (ეს უკანასკნელი სპარსეთის რევოლიუციაში დაიღუპა), ი. რევაზიშვილი, რ. სალაყაია, გ. გელიკურაშვილი, ალ. ბაჯიაშვილი, დ. მელაშვილი, ნ. მირველოვი, ხუციევი, ივ. იმედაშვილი, ნინო საყვარელიძე, ან. ჟურული (ი. იმედაშვილის ცოლი), თამარა აფხაზიშვილი, მაკა ქართველიშვილი, ვარა ბეგიჯანოვი (ბარბარელი), პეტრე ბეგიჯანოვი (შრომიშვილი), მიხა ბაკურაძე (კატორღაში გაგზავნეს და იქ გარდაიცვალა), გ. პეპანოვი, ვ. ივრისპირელი (იმედაშვილი) და მრავალნი სხვანი. ამ მუშა „არტისტებს“ სცენიდან პირდაპირ ქსელი ჰქონდათ კაბმული ნავთლულის, ავლაბრის და ორთაჭალის ყველა ფაბრიკა ქარხნების მუშებთან. ეს ინიციატორი მუშები ყოველ დღე იკრიბებოდენ ი. იმედაშვილის წიგნის მაღაზიაში (ქვაშვეთის ქუჩაზე) კარგად მახსოვს, ამ წიგნის მაღაზიაში ი. იმედაშვილთან დაიარებოდა რუსეთის პროლეტარიატის საყვარელი მწერალი მ. გორკი. იოსებ იმედაშვილის დაპატიმრების შემდეგ ეს ჯგუფი გადმოვიდა (1903 წ.) მსახ. არაქსიანის ახალ თეატრში (ეხლანდელ მუშათა კლუბში), რომელსაც ხელმძღვანელობდენ გ. ფირუმიანი და ძმები თომა და პეტრე ნასიძეები; შემდეგ საქმეში ჩაერივნენ ორგანიზაციისა და იაჩეიკის წარმომადგენლები მ. ჯანველოვის, მენთეშაშვილის, ვ. თუშმელაშვილის (ფრანცას) „ეფრემას“, „შაბოს“, „დავახეთქეს“ და სხვათა სახით. როგორც უფრო ყველაზე დევნილები ამ ჯგუფს თავს აფარებდნენ ეხლანდელი პროფკავშირთა საბჭოს თავმჯდომარე გ. ყურულიშვილი და თვალსაჩინო კომუნისტი ამხ. შაუმიანი. როგორცა ვსთქვით ამ ჯგუფის მუშაობა ოდნავადაც არ იყო მთავრობისგან შეუმჩნეველი, მთავრობამ ძალიან კარგად იცოდა, რომ ის მუშები რომელნიც ამ ჯგუფში იყრიდნენ თავს, სრულიადაც არ იყვნენ „არტისტობის“ ბუნება მზრაისიდ ნიჟაუ,

---

საჭირო ხდება ნაციონალურ ერთეულთა უფლებების გაფართოვება. ცხოვრება წინ აყენებს ამ საკითხებს და ბოლშევიკები იძულებული არიან დააკმაყოფილონ ცხოვრების მოთხოვნილებანი.

ყოველივე ეს ასეა. მაგრამ შეცდომა იქნება იმის ფიქრი, რომ ბოლშევიკებისათვის უკვე მიღებულია ნაციონალური საკითხი, როგორც პრინციპიალური დებულება. სრულიადაც არა.

ამხ. კამენევის მოტივაცია გამომდინარეობს ტაქტიკური მოსაზრებიდან რაში მდგომარეობს იგი? ერთი მხრით საბჭოთა რესპუბლიკების მტრებს ხელიდან უნდა გამოეცალოს იარაღი, რომ ვითომც რუსეთი ავიწროებდეს განაპირა ქვეყნებს, მეორე მხრით იმპერიალისტები თუ აღმოსავლეთის ხალხის დამორჩილებისათვის მიმართავენ საშუალებას, თავისი მხრით რუსეთმაც უნდა გადაჭრას სწორედ ნაციონალური საკითხი, რადგან ეროვნულად დამონებული აღმოსავლეთი დაუკავშირდეს რევოლიუციას.

ამ რიგად ბოლშევიკები მხოლოდ უთმობენ ცხოვრების მოთხოვნილებას. ესეც კარგია, რა თქმა უნდა.

ისინი, რომ გუშინდელი დღის თეორიას ებღაუჭებოდენ, როგორც ამბობს ამხ. ვ. ლენინი „წერილებში ტაქტიკის შესახებ“ ან არ იღებდენ ფაქტებს რევოლიუციის ინტერესებში და არ „ალაგებდენ მას, როგორც არის სინამდვილეში“, ისინი საბოლოოდ დამარცხდებოდენ.

როგორც ვხედავთ ბოლშევიკების მიერ ჯერ კიდევ ნაციონალური საკითხი ტაქტიკის საკითხად არის მიჩნეული. ამას დიდი მნიშვნელობა აქვს პრაქტიკული პოლიტიკისათვის.

რაც თავის თავად არ არის ღირებული, ან რაც ეფემერული და წარმავალია, არ შეიძლება იყოს განსაკუთრებული მზრუნველობის საგანი. თუ ერი, როგორც სოციოლოგიური მოვლენა, უნდა აღიგავოს მიწისაგან პირისა და ასიმილიაციის პროცესმა უნდა შთანთქას, თუ მარტო იმიტომ უნდა გაუწიოთ ანგარიში, რომ „რა ვქნათ“ სხვა გზა არ არის და იძულებული ვართ დროებით „დაუთმოთ“ სხვა და სხვა ტაქტიკური მოსაზრებით,—ასეთ შემთხვევაში არ შეიძლება ნაციონალური საკითხი გადიჭრეს სწორად და საბოლოოდ.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ სანამ ბოლშევიკები არ მიიღებენ ნაციონალურ საკითხს, როგორც პრინციპიალურ დებულებას, მანამ მათ ყოველ ყრილობაზედ დასჭირდებათ რევიზია და „განმეორებითი კურსის“ გავლა ნაციონალურ საკითხში; ხოლო ვინც ვერ გაიგებს ამ დებულებას, „ვინც ივიწყებს ნაციონალურ კითხვას, იგი დაიხრჩობა მასში“.

თუ გუშინ სოციალისტური პარტიები კოსმოპოლიტურ ლოზუნგებს აყენებდენ, თუ გუშინ ნაციონალიზმის ხსენება იწვევდა გაუგებრობას ან აღშფოთებას სოციალისტთა ბანაკში, დღეს არ არსებობს არც ერთი სერიოზული სოციალისტური პარტია, რომელიც სავსებით გვერდს უვლიდეს ნაციონალიზმს, როგორც ერის არსებობის იმანენტურ ძალას. სოციალიზმი უკვე შედგა ნაციონალიზაციის გზაზედ. ნაციონალიზმი არა თუ შემფერხებელი ფაქტორი გამოდგა რევოლიუციის პროცესის, არამედ იგი რევოლიუციის ფაქტორად იქცა.

ვინც მიიღებს „უდიდეს დამოუკიდებლობას ნაციონალურ-კულტურულ სფეროში“, როგორც ამხ. ლ. ტროცკი, მან უნდა გამოეთხოვოს „სამეურნეო ცენტრალიზაციის“ შეთანხმებას „ნაციონალურ დეცენტრალიზაციასთან“.

**ეკონომიკაში უკიდურესი ცენტრალიზმი— პოლიტიკაში კი დეცენტრალიზმი,** არა თუ მარქსისტული მსოფლმხედველობის უარყოფაა, რომლის გაგებით პოლიტიკა ზედნაშენია ეკონომიკის, არამედ ეს სოციალური ცხოვრების ორი მხრის, ფორმისა და მატერიის ერთმანეთისაგან დაშორებაა, რაც შესაძლებელია მხოლოდ განყენებაში, აბსტრაქციაში და არა სინამდვილეში, რეალობაში. აბსტრაქციებზედ პოლიტიკის შენება აბსტრაქციულ პოლიტიკას მოგვცემს და უტოპიზმის სამეფოში გადაგვიყვანს.

კლასობრივი და ეროვნული მომენტები უმთავრესი ძალებია ისტორიული პროცესის და ამ ძალთა სწორ ანალიზზედ უნდა ავაგოთ რევოლიუციონური პოლიტიკა. თანდათანი სვლით ამ გზას უნდა დაადგეს სოციალისტური პარტიები.

**ხერ. ამაღლობელი.**

განგებ აფარებდენ სცენას თავს და საიდუმლოდ ორგანიზაციულ რევოლიუციონურ მუშაობას ეწევოდენ როგორც ფაბრიკა ქარხნის, აგრეთვე კერძო მუშებთან და როგორცა ვსთქვით იმიტომაც იყო რომ ამ სათეატრო აუდიტორიებს, სადაც ბუდობდენ რევოლიუციონურად განწყობილი მუშები, ხშირი სტუმრები იყვნენ „ნიჟეგოროდის“ დრაგუნის პოლკის რაინდები: რამდენი რამის თქმა და დაწერა შეიძლებოდა ამ მუშების საქმიანობის შესახებ? დიახ, ვწერავთ, მაგრამ არ ვიცით, თუ რომელი მომენტები აღვნიშნოთ, რომელი ფაქტები და რომ მელი მუშა დავასახელოთ? ეს ძალიან შორს წაგვიყვანს; ამიტომ კონკრეტიულად გვინდა საკითხი დავაყენოთ:

— ეს პიონერი მუშები, რით დავაჯილდოვეთ? რით აღვნიშნეთ მათი რევოლიუციონური თავის განწირვა? და ბოლოს რითი უზრუნველვყავით?

— აი რით:—რკ. გზის მუშა გ. გელიკურაშვილი და დარო რჩეულიშვილი, რომელთაც თითომ 40 წლის სამსახური გაუწიეს მუშათა აუდიტორიებს, **შიმშილის და შილატაკის** მსხვერპლნი შეიქმნენ; ისინი გარდაიცვალნენ უწამლოდ და ეს ამბავი ყოველმა მათმა ძველმა ამხანაგებმა იციან. იმავე აუდიტორიის დამბადებელი ბებია მუშები—გ. ჯაბაური, ბ. მაისურაძე, ალ ბაჯიაშვილი, რ. სალაყაია და მრავალნი სხვანი, როგორც ორმაგი შრომისაგან დაღლილნი, მიუხედავად მათი უძლურებისა, ის უხუცესი მუშები დღესაც განაგრძობენ შრომას, როგორც ქარხნებში, ისე თავიანთ საყვარელ სამლოცველო ტაძარში—აუდიტორიებში. დიახ, ფიზიკურ მუშაობასაც ეწევიან და კულტურულსაც. ან კი რა ჰქნან რომ არ იმუშაონ?

რუსეთის დიდი რევოლიუციის შემდეგ ჩვენს ქვეყნებს სათავეში ესერ-მენშევიკები მოექცნენ და, როგორც გამოცდილებამ გვაჩვენა, მათ არა თუ ვერ შესძლეს მუშების და ამ შემთხვევაში დამსახურებული ძველი მუშების შეფასება და პატივისცემა, არამედ მათ ასეთი პრინციპი არც კი აღმოაჩნდათ. ეს ჩვენ სრულიადაც არ გაგვკვირვებია, ვინაიდან ასეთია ბურჟუაზიული წყობილების შედეგები მთელს მსოფლიოში და მათ შორის რასაკვირველია საქართველოშიც.

მაგრამ შეიძლება თუ არა, რომ ასეთ ყოფას ადგილი ჰქონდეს ჩვენს ქვეყანაში დღეს, როდესაც გამარჯვებულ მშრომელთა ნებისყოფა ბრძანებლობს?

რა თქმა უნდა, რომ არა და ათასჯერ არა.

ბურჟუაზიამ იცოდა ფასი თავის „მოღვაწეების“ და ამიტომაც იყო, რომ იგი თავის ერთგულ გენერალ-ჩინოვნიკებს არა თუ მარტო „ინვალიდობისათვის „პენსიებს“ უნიშნავდა, არამედ მათ ხანგრძლივი „მოღვაწეობისათვის“ „იუბილეებსაც“ უმართავდა,

ვის შეეძლო მაშინ ჩვენი დაჯილდოვება?—რა თქმა უნდა არავის, გარდა მუშათა კლასისა და მაშინ ხომ ამ მუშათა კლას თავისი მთავრობა არა ჰყავდა.

როგორია დღეს მუშების მდგომარეობა?

მუშურ-გლეხურმა მთავრობამ ბრძოლებისა და საბოტაჟების პროცესში ბევრი საქმეების მოგვარება შესძლო და გვრწამს ურყევლად, რომ ბევრსაც შესძლებს, მაგრამ ის, რაც ყურადღების გარეშე დარჩა, ის უეჭველად დეფექტია და ჩვენ, ჩვენი მუშური შეგნება და მოვალეობა გვიკარნახებს აღვნიშნოთ:

საქართველოს საბჭოთა მთავრობამ სხვათა შორის ერთი მეტად სამართლიანი აქტი მოახდინა; —საზოგადო მოღვაწეებს;—მწერლებს, მხატვრებს, მუსიკოსებს, ლექტორებს და მრავალ სხვათ, განურჩევლად ეროვნებისა, დაუნიშნა არა **უძლურებისათვის**, არამედ **ხანგრძლივი მოღვაწეობისათვის** სახელმწიფო პენსიები.

რაღ უნდა ეს კარგი საქმეა,—ვაშა ასეთ მთავრობას!

მაგრამ ჩვენ გვინდა ვიკითხოთ:—**დამსახურებულ მუშებისათვისაც** ასე გადაიჭრა თუ არა საკითხი (გამონაკლისის გარდა) და, თუ არა, რატომ?

ამ საკითხზე იმედია საქართველოს პროფკავშირთა საბჭო მოგვცემს დამაკმაყოფილებელ პასუხს.

დღიდან საქართველოს გასაბჭოებისა, კერძოდ ტფილისში მხოლოდ 2-ს თუ 3-ს მუშას გაუმართეს იუბილე ერთი იუბილე გაუმართა მბეჭდავ მუშების კავშირმა მბეჭდავ მუშას სანდრო მინდიაშვილს და მეორე კიდევ გადაუხადა მეტყავეთა კავშირთან არსებულმა დრამატ. წრემ ასოთ-ამწყობ მუშა-არტისტს ამხ. გერასიმ ბაინდურიანს. ასეთივე იუბილეები მოუწყვეს მუშებმა ბათომში 3—4 მბეჭდავ მუშას. სხვა ცნობები არა გვაქვს. როგორც მკითხველი ხედავს, მუშათა მოღვაწეობის შეფასებაში პირველი ნაბიჯი მბეჭდავ მუშებს გადაუდგამთ, მაგრამ ნუ თუ საკითხი ამით უნდა ამოიწუროს?

სამწუხაროდ, არიან ჩვენში ისეთი მუშები, რომელთაც მაგალითად იუბილეები ბურჟუაზიის „ზეიმათ“ წარმოუდგენიათ, მაგრამ იუბილეების შინაარსის ასე ყალბად წარმოდგენა, რა თქმა უნდა სწორი გაგება არ არის.

ჩვენ არც ეს გვიკვირს, ვინაიდან მუშათა კლასის დევნის დროს, მუშები იუბილეებს და სხვაგვარ პატივისცემის შესაძლებლობას მოკლებულები იყვნენ.

ჩვენ კი ვეტყვით ამხანაგებს, რომ ეს ასედაც უნდა ყოფილიყო და ჩვენ, მუშები, იუბილეების და სხვა პატივისცემის ღირსნი მხოლოდ მაშინ გავხდებოდით, როდესაც მუშათა კლასი გაიმარჯვებდა, მუშურ გლეხური მთავრობა გვეყოლებოდა და ყოფილი მეფეთა სასახლეებზე გამარჯვებული პროლეტარიატის მიერ აღმართული წითელი დროშები აფრიალდებოდა.

და დღეს, როდესაც ხანგრძლივი ბრძოლის შემდეგ ჩვენი „ოცნება“ რეალურ ფაქტად იქცა, უკვე დგას ჩვენს წინაშე მომენტი და ჩვენ გვმართებს უხუცესი და დაღლილი მუშები ზეიმის ყიჟინებში გავახვიოთ.

დიახ, გამარჯვების შემდეგ მუშათა მოძრაობაში მუშების დაჯილდოვება იუბილეების, „პენსიების“ და სხვათა სახით **ახალი მოვლენა** არის და ეს ნურავის ნუ გაუკვირდება.

დაე, ჩვენი მტრები დარწმუნდნენ, რომ მუშათა კლასმა გამარჯვება შემთხვევით და „ავანტიურის“ გზით კი არ მოიპოვა, არამედ ხანგრძლივი ბრძოლით, რომელიც დაიწყო ამ 40—50 წლის წინეთ და ამ ბრძოლას უფროსი ამხანაგების დახმარებით თვითონ მუშათა წიაღიდან გამოსული მებრძოლი მუშები აწარმოებდნენ იმ ღრმა რწმენით, რომ დაემხოთ უსამართლობის თავხედობა სამუდამოდ.

ეს ასედაც მოხდა!

და ჩვენც ზეიმი გვმართებს!

მაშ გავაცნოთ და წარუდგინოთ ძველი მებრძოლი მუშები ახალგაზრდა მუშებს, ეს ძველი მუშები ეტყვიან ახლებს, თუ როგორ უნდა თავდადება და ბრძოლა მუშათა კლასის—პროლეტარიატის საბოლოო გამარჯვებისათვის მსოფლიოს მაშტაბში.

ასოთ-ამწყობი დ. მელაშვილი.

## სახელმწიფო უნივერსიტეტის ცხოვრებიდან

(აგრონომიული ფაკულტეტი)

ყველა იმ პირთ, რომლებსაც რაიმე კავშირი აქვთ ჩვენს უნივერსიტეტთან ან დაინტერესებული არიან მის ცხოვრებით, მოეხსენება თუ რა მდგომარეობაში იმყოფება იგი. მე მოგახსენებთ არა ეკონომიურ მხარეს, რომლის შესახებ საერთოდ ძლიერ გახშირებულია წერა და სჯა-ბაასი, არამედ მეორე არა ნაკლებ მნიშვნელოვან მხარის შესახებ, რაიც მწვავედ სდგას ჩვენს წინაშე—ეს არის შენობის საკითხი.

მკითხველ საზოგადოებას მოეხსენება ალბად თუ რა სივიწროვეს განიცდის ამ მხრივ ჩვენი უნივერსიტეტი; მრავალი ლაბორატორიები, აუდიტორიები და პრაქტიკული სავარჯიშო ადგილები ძლიერ დაშორებულნი არიან მთავარ შენობას. მაგალითვისათვის საკმაო შემდეგი ავღნიშნო: ორგანიულ ქიმისი (პროფ. მელიქიშვილის) ლაბორატორია ქალაქის მეორე ბოლოს არის მოთავსებული, ხოლო ანალიტიურ ქიმიის, ადამიანის ანატომიის ფიზიოლოგიის კაბინეთები ქალაქის სხვა და სხვა მოშორებულ ადგილებში არის დაფანტული, რაც დიდ დაბრკოლებას ქმნის და სპობს მუშაობის უფრო ნაყოფიერ წარმოების შესაძლებლობას.

გარდა იმისა, რომ ასეთ პირობებში აკადემიურ მუშაობის წარმოება ძლიერ შეფერხებული იქნება, მას აქვს აგრეთვე ტეხნიკური ხასიათის დაბრკოლებანიც.

ჩვენი უნივერსიტეტი ძლიერ ახალგაზრდაა; მას სულ რამოდენიმე წლის ისტორია აქვს და ამიტომ, ცხადია, რომ ყველა მისი დარგები სათანადო სიმაღლეზე არ სდგანან; მაგრამ ეს გარემოება სრულიად იმას არ ნიშნავს რომ არ გამოვიყენოთ ყოველივე შესაძლებლობანი, რომლებიც კი არსებობს; პირიქით საჭიროა მეტი ამოქმედება, მეტი ყურადღება.

ამ წერილის მიზანს შეადგენს გაცნობა ხელისუფლებას და აგრეთვე დაინტერესებულ საზოგადოების აგრონომიულ ფაკულტეტის მდგომარეობის, რომელმაც თავის ენერგიულ მუშაობით, საქმისადმი სიყვარულით და ერთგულებით დაამტკიცა თუ რა დიდი შრომა გაუწევიათ ხსენებული ფაკულტეტის სტუდენტობას და მათ ხელმძღვანელებს. ამის შესახებ მოეხსენება თვით განათლების კომისარიატს, რომელმაც თავის წარმომადგენელი გამოგზავნა ამავე ფაკულტეტის მუზეუმის საზეიმო გახსნის დღეს სხვათა შორის ამ დღეს მიღებულმა შთაბეჭდილებამ დიდად ასიამოვნა დამსწრე საზოგადოებას, რაც გამო სხვა და სხვა გაზეთებში იყო მოთავსებული სათანადო ცნობები.

თუ რამდენად დიდი მნიშვნელობა აქვს აგრონომიულ ფაკულტეტს ჩვენი სამშობლოს აღორძინებისათვის, ამის შესახებ ლაპარაკი მეტია: სასოფლო სამეურნეო ქვეყანა შეუძლებელია აყვავდეს მეურნეობის განვითარების გარეშე. ამიტომ მისი გაუმჯობესება და ღირსეულ სიმაღლეზე აყვანა აუცილებლად უნდა შეადგენდეს ხელისუფლების და სათანადო ორგანოს საზრუნავ საგანს.

ჯერ კიდევ აგრონომიულ ფაკულტეტის დაარსების პირველ ხანებშივე შეიქნა ძიება, ზრუნვა შესაფერ პირობების შექმნისათვის. ამისათვის საჭირო იყო საცდელი მინდვრები, პრაქტიკულად სავარჯიშო ადგილები, ურომლისოდაც შეუძლებელია სასარგებლო მუშაკის გამოსვლა და ნამდვილი მეურნის სახელის ტარება. აგრონომია უაღრესად პრაქტიკული მეცნიერებაა, რომელსაც სათანადო სამოქმედო სარბიელიც უნდა ქონდეს მინიჭებული.

სწორედ რომ ასეთი შესაფერისი ადგილი იყო და არის უნივერსიტეტის მხრივ მდებარე ყოფილი სემინარიის შენობა და მისი მიდამოები.

აქ მართლაც განხორციელებულია ყველა ის პირობები, რომელიც საჭირო და აუცილებელია აგრონომიულ ცოდნის მისაღებად. როგორც პროფესორებმა ისე სხვა სპეციალისტებმა აღიარეს ამ ადგილის უპირატესობა სხვასთან შედარებით ამიტომ იყო რომ შარშან აგრონომიულ ფაკულტეტის საერთო კრებაზე ირჩეოდა ეს საკითხი, სადაც მიღებულ რეზოლიუციაში ეთხოვებოდა მთავრობას, რათა ეს სემინარიის შენობა გადაეცათ აღნიშნულ ფაკულტეტისთვის.

მთავრობა სიმპატიურად შეხვდა ამ თხოვნას და დამაკმაყოფილებელი პასუხი მივიღეთ.

მაგრამ შემდეგ, ვინაიდან ჯარს დაეკავებია ის ეს დადგენილება სისრულეში ვერ იქნა მოყვანილი.

ახლა კი როდესაც დანამდვილებითი ცნობა მივიღეთ, რომ ჯარი ანთავისუფლებს ამ შენობას, სტუდენტთა და პროფესორთა საბჭომ აუცილებელ საჭიროდ სცნეს ახლავე აიძრას შუამდგომლობა სათანადო ორგანოების წინაშე და ჩვენ ვიცით ეს საკითხი დადებითად გადაწყვეტილი, რაც სტუდენტთა მასსაში დიდ კმაყოფილებას იწვევს.

ამასთანავე უნდა აღინიშნოს, რომ ეს შენობა დღევანდელ სახით რასაკვირველია უვარგისია, ვინაიდან აკადემიურ მუშაობის წარმოებისათვის საჭირო მათი შეკეთება და შესაფერისად მოწყობა. ჩვენ გვრწამს, რომ ეს საკითხი ამ მოკლე ხანში პრაქტიკულად გადაწყდება, რომელიც მომავალში საფუძვლად დაედება ჩვენ ეკონომიურ მხარის განმტკიცებას, რაც ერთ-ერთ პირობათაგანია ქვეყნის აღდგენა-აყვავებისათვის.

მომავალი ახალი სემესტრი ახლებულ შენობაში უნდა მოვისმინოთ.

შ. ჯაში.

## პატარა ფელეტონი

### „მერანი“

(პაროდია)

მირბის, მიმაფრენს უგზო-უკვლოდ სტერლინგ-ლირები,
თან მომჩხავიან დატვირთულნი ბირჟის გმირები!
გასწით, ლირებო, თქვენს ჰენებას არ აქვს საზღვარი
და ბირჟას მიეცთ ფიქრი ჩემი, მარად მღელვარი!

გაჭკვეთე ჯიბე, გააპე ქისა, შემომატარე ყველა ბირჟები;
გასწი, გაჭკურცხლე და თან გასთელე უანგარიშო ბრიყვი-გიჟები!
ნუ შეიბრალებ, ჩემო სულის დჯმავ, ღარიბ-ღატაკსა, ნურცა მუშასა,
ნუ შეიბრალებ დაქანცულობით თავგანწირულსა შენსა გუშაგსა!

რაა, მოვშორდე ხანდისხან ბათომს, მოვაკლდე სწორთა და მეგობარსა;
ნულა ვიხილავ სტამბოლის გემებს, საქონლით სავსეს ჩემსკენ მცურავსა!
საცა ხალხს ვყვლეფავ და ოქროს ვიგებ, იქ იყვეს ჩემი მიწა-სამშობლო,
მხოლოდ ბაზარზე გავითამაშო, ვერვინ გამიგოს მე საიდუმლო!

კვნესა გულისა, მე შეუერთე ბირჟისა ღელვას,
სტერლინგ-ლირები გულის წარმტაცს გიჟურსა ლტოლვას!
გასწით, ლირებო, თქვენს ჰენებას არ აქვს საზღვარი
და ბირჟას მიეცთ ფიქრი ჩემი მარად მღელვარი!

ნუ დავიმარხო მხოლოდ ბონებში, შეკრებილს მრავლად მშრომელთა შორის,
ნულარ დამატკბონ სატრფოთა ჩემთა და ნულარ გავხდე ღირსი ტრფიალის!
მხოლოდ ბირჟაზე, ქარვასლის გვერდით, თავისუფლების მოედანზედა,
ოქრო-ლირებით ჯიბე გავივსო და არ ვიფიქრო მე სხვის ბედზედა!

ბონის მაგივრად ბირჟის ოხერსა, დამეცემიან ყვითელი ცვარნი,
ჩემთა ცოლ-შვილთა, ბონების ნაცვლად, მრავლად ექნებათ ოქრო მზზინავნი!
გასწი, გაფრინდით ჩემო ლირებო, გადამატარეთ ბირჟის სამზღვარი,
თუ აქამომდე არვის ვემონე, არც აწ ემონოს შენი მხედარი!

დაე, ყოველგან ფრთები გავშალო, არ შევიბრალო ობოლ-ოხერი;
ვერ შემაშინოს ვერარა ძალამ, ხალხის ობობა, მოსისხლე მტერი!
ფეხქვეშ მოვიდე მთელი ქვეყანა, ბურთია ჩემთვის ეს საქართველო,
მაშ რისთვის გავჩნდი ამ ქვეყანაზე, თუ არ გავაგდე სუყველგან ლელო?!

ცუდად ხომ მაინც არ ჩაივლის ეს განწირული სულის კვეთება!
სტამბოლის გზები, ჩემგან თელილი, ლირებო, მაინც კიდევ დარჩება
და ჩემს შემდგომად მემკვიდრეთ ჩემთა სიძნელე გზისა გაუადვილდეს
და შეუპოვრად, მშრომელთა ზურგზე, მათ უნე თვისი გამოუქროლდეს!

მირბის, მიმაფრენს, უგზო-უკვლოდ სტერლინგ-ლირები,
თან მომჩხავიან დატვირთულნი ბირჟის გმირები!
გასწით, ლირებო! თქვენს ჰენებას არ აქვს სამზღვარი,
და ბირჟას მიეცთ ფიქრი ჩემი მარად მღელვარი!

პეტახი.

## ქრონიკა

**ოანეს თუმანიანის ნაწარმოებნი ქართულ ენაზე.** იბეჭდება და მალე გამოვა კრებული ოვანეს თუმანიანის ნაწარმოებისა ქართულ ენაზე. თარგმანი ანტონ აუშტროვისა. კრებულში მოთავსებული იქნება—მწერლის ბიოგრაფია, კრიტიკული შენიშვნები, რჩეული ლექსები და სხ.

— **საბავშო თეატრი.** დადგენილია დაარსდეს ქალ. ტფილისში საბავშო თეატრი სათანადო დასით, რომელიც სისტემატიურად გამართავს წარმოდგენებს: ქართულ, რუსულ, სომხურ და თათრულ ენაზე. რეპერტუარიც შედგენილ იქნება რჩეულ პირებისაგან, რომელთაც ექნებათ აღზრდის მნიშვნელობა.

— **იონა ვაკელის ნაწარმოებნი.** იბეჭდება და მალე გამოვა პროლეტარულ პოეტ იონა ვაკელის ლექსთა კრებული.

— **თეატრი წითელარმიელებისათვის.** კავკასიის ცალკე არმიის მთავარ კომიტეტთან დაარსდა დრამატიული დასი, რომელიც გამართავს წარმოდგენებს ტფილისში მყოფ ყველა წითელარმიელებისათვის. წარმოდგენები გაიმართება ადგილობრივ ცირკის შენობაში. ერთი თვის შემდეგ დასი გაემგზავრება პროვინციაში წარმოდგენების გასამართავად.

რეპერტუარში შედის განსაკუთრებრივ რევოლიუციონური და სააგიტაციო პიესები.

— **შექსპირის თარგმანის გამოცემა.** სახელმწიფო გამომცემლობის სალიტერატურო-სამხატვრო ნაწილი დასაბეჭდათ ამზადებს შექსპირის ტრაგედიებს, რომელიც თარგმნილია ივანე მაჩაბლის მიერ, წიგნი გამოვა ოთხ ტომათ.

— **„რუსთაველიანა“.** სახელმწიფო გამომცემლობა შეუდგა პ. ინგოროყვას შრომის „რუსთაველიანას“ გამოცემას.

— **ქართული სახალხო თქმულებები.** სახელმწიფო გამომცემლობა დასაბეჭდათ ამზადებს ქართულ სახალხო თქმულებების კრებულს.

— **ალ. ყაზბეგის და ა. წერეთლის თხზულებანი.** სახელმწიფო გამომცემლობა შეუდგა ალ. ყაზბეგის თხზულებათა ბეჭდვას, რომელიც ოთხ ტომათ გამოვა; ამასთანავე მზადდება დასაბეჭდად აკაკი წერეთლის რჩეული თხუზულებანი.

— **კომპ. დ. არაყიშვილის საღამო.** დღეს, 1 აპრილს, მეორე კონსერვატორიაში გაიმართება კომპ. დიმიტრი არაყიშვილის ნაწარმოებთა საღამო.

— **ჟურნალი „ილიონი“.** იბეჭდება და ამ მოკლე ხანში გამოვა ჟურნალ „ილიონის“ № 4. მონაწილეობენ: ი. გრაზაშვილი, კ. გამსახურდია, ტერენტი გრანელი, მარიჯან, ი. მჭედლიშვილი, გრ. წერეთელი და სხვები.

## წერილი რედაქციის მიმართ

ამხ. რედაქტორო!

გთხოვთ გაზეთ „ტრიბუნა“-ს მახლობელ ნომერში მოათავსოთ შემდეგი განცხადება: 1912 წლიდან მე ვითვლებოდი საქართვ. სოც.-ფედერ. სარევ. პარტიის წევრად. პარტიაში განხეთქილების მოხდენის შემდეგ მე დავეთხოვე ყოველივე პარტიულ მუშაობას და ვთვლიდი ჩემს თავს უპარტიოთ. დღეიდან კი გადავდივარ მემარცხენე სოც.-ფედერ. სარევ. პარტიაში და ვიზიარებ ყველა მის დებულებებს.

ლადო ლამბაშიძე.

1923 წ. მარტის 18.

დ. ჩოხატაური.

რედაქტორი—სარედაქციო კოლეგია.
გამომცემელი—მთავარი კომიტეტი.

ტირაჟი 700 ნება დართულია ლიტერატურისა და გამომცემლობის მთავარმართველობის მიერ № 171. საქართვ. უმაღლ. მეურ. საბჭ. პოლიგრაფ. განყოფ. სტამბა კრუზენშტერნის ქუჩ. № 2